

შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 10 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 8 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 2 - კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას და საქმიანობას. **ჟიურის წევრებს თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმუმ 10 ქულის მინიჭება შეუძლიათ.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 80%		
<i>დაგეგმვა</i>		
1. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება	პროექტი/ინიციატივა შეესაბამება სამიზნე ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რომელთა გამოვლენა მოხდა თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით.	0-10 ქულა
2. თანამშრომლობის ეფექტიანი დაგეგმვა	როლების და რესურსების რელევანტური და ეფექტიანი გადანაწილება, რომელიც ეფუძნება პარტნიორების ურთიერთშემავსებელ გამოცდილებას.	0-10 ქულა
<i>განხორციელება</i>		
3. სტრატეგიული მიდგომა და აქტივობები	ეფექტიანი და მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება; კომპლექსური მიდგომა ინვესტირებული რესურსებისა და გამოყენებული სტრატეგიების თვალსაზრისით; თანმიმდევრული ძალისხმევა.	0-10 ქულა
4. მართვა	პროექტის ეფექტიანი მართვა და ეფექტიანი თანამშრომლობა; ატარებს თუ არა კომპანია საქმიანობის მონიტორინგს, შედეგების შეფასებას და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე? როგორ?	0-10 ქულა
5. ჩართულობა და კომუნიკაცია	რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და მათი ჩართულობა, პროექტის შესახებ კომუნიკაცია.	0-10 ქულა
<i>შედეგები და ზეგავლენა</i>		
6. მიღწეული შედეგები და რეალური ცვლილება	განხორციელებული აქტივობების შედეგები და ზეგავლენა; რა შეიცვალა უკეთესობისკენ და როგორ? შესაძლებელია თუ არა შედეგების და ზეგავლენის გაზომვა და დასაბუთება?	0-10 ქულა

7. პროექტის შედეგების მდგრადობა	არის პროექტის შედეგები მდგრადი? აქვს პროექტს განვითარების და გაფართოების პოტენციალი?	0-10 ქულა
8. თანამშრომლობის სარგებლიანობა	რა დადებითი ზეგავლენა ჰქონდა ამ თანამშრომლობას ყველა პარტნიორსა და სამიზნე ჯგუფზე?	0-10 ქულა
საერთო სტრატეგია და შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%		
9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა და მიღწევები	კომპანიას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა, CSR-აქტივობებისთვის განსაზღვრული აქვს პრიორიტეტული მიმართულებები; მისი CSR-აქტივობები თანმიმდევრული და ეფექტიანია.	0-10 ქულა
10. ზოგადი მიდგომა პარტნიორობისადმი	კომპანიას ახასიათებს პარტნიორული მიდგომები და თანმიმდევრული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.	0-10 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0-2 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	5-7 ქულა	საკმაოდ კარგი
3-4 ქულა:	საშუალო	8-10 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით

შენიშვნა: შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა. საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.